ევროპული ხედვის მიხედვით, მომსახურების ხელშეკრულების ინტენსიური გამოყენება განიხილება შეერთებული შტატების სამართლებრივი სისტემის თავისებურებად. ავტორები წარმოადგენენ როგორც შრომის ეროვნული საბჭოს პრინციპებს, ისე მის მიღწევებს და ხაზს უსვამენ, რამდენად ეხება ამ საკითხებს წარმომადგენლობის ნორმათა (მეორე) კრებული (Restatement (Second) of Agency); რამდენიმე გვერდზე მკითხველებს აქვთ შესაძლებლობა, გაეცნონ ყველა ფაქტორს, რომელიც გამოყენებულია იმის განსასაზღვრად, სახეზეა შრომითი ურთიერთობა, თუ საქმე გვაქვს დამოუკიდებელ კონტრაქტორთან. რომ შევაჯამოთ, დასაქმებულზე დამსაქმებლის კონტროლის ხარისხს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა კვალიფიკაციისათვის. შეერთებული შტატების გადაწყვეტა ნელ-ნელა ემთხვევა ევროპისას.

სახელმძღვანელოში არის მოწოდება, რომ ერთობლივ დასაქმებას მიექცეს მეტი ყურადღება, რადგან სახეზეა დასაქმებულთა დაცვის სტანდარტის შემცირება და დერეგულირება.

ეს ორი მაგალითი წარმოადგენს ახალი შრომითი ურთიერთობის მახასიათებელს, რომელიც არაპირდაპირ აღწერს დასაქმებულის მდგომარეობას სხვადასხვა კონტექსტში. გასათვალისწინებელია, რომ შრომასთან დაკავშირებული საკითხები რაც არ უნდა შეიცვალოს, კანონი არ მიჰყვება ამ ტენდენციას, რის გამოც დასაქმებულები ხდებიან უფრო მოწყვლადები.

21-ე საუკუნის მუშაკები ასევე არიან ეკონომიკური საკითხების ცენტრში, სადაც მაკდონალდისის მსგავსი ხელშეკრულებები იშვიათად გვხვდება და „დათანხმდი ან წადის“ ფორმულა ისევ წამყვან წესად გვევლინება.

თუმცა, სავარაუდოდ, რადგან მუშაკი განსაზღვრულია, როგორც დასაქმებული, ავტომატურად უნდა სარგებლობდეს დაცვის

მინიმალური სტანდარტით მაინც.

ეს სხვაგვარად ნიშნავს, რომ კონტრაქტორის ცნების არასათანადო განმარტება ასევე ქმნის დისკრიმინაციას.

სახელმძღვანელოში მოითხოვენ დიდ ყურადღებას სამუშაოს ცვლადი ბუნებისა და მისი სოციალური პოლიტიკის მიმართ. ციფრულ სამყაროში შრომა გახდა ანონიმური, სხვადასხვასაფეხურიანი და მრავალფუნქციური. თუ დასაქმებულის ჩანაცვლება ადვილად შესაძლებელია, სამუშაოს შეთავაზება ხორციელდება არასათანადოდ დაბალი სახელფასო პირობებით.

ეს ცვლილება განაპირობა ახალმა ტექნოლოგიებმა, ავტომატიზაციამ და რობოტიზებულმა სამუშაოებმა, რომლებიც შემოვიდა სამუშაო ადგილებზე.

ამ სირთულეების ანალიზი განაპირობებს მოწოდებას, რომ პროფესიულ კავშირებს მიენიჭოს ახალი როლი მოთხოვნაზე დამყარებული ეკონომიკის პირობებში, სადაც დაბალანსებული იქნება მოქნილობა და რიგიდულობა: მოქნილი უსაფრთხოების (flex-security) ცნება პირდაპირ შტატების სამართალს ეხმარება.

პროფესიულ კავშირებს მოუწევთ მოძებნონ გზა, რომლის მეშვეობითაც ყოველგვარი ზემოქმედებისგან თავისუფალ დასაქმებულთა ხმა უკეთ იქნება გათვალისწინებული, სადაც მეტად დაიცავენ მათ უფლებებს, ხოლო ამ პროცესში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იქნება.

შეზღუდული რაციონალურობა და აგენტისა და პრინციპალის ურთიერთობა, რაც შემუშავებულ იქნა ეკონომიკური ანალიზის მიერ, ითვალისწინებს დახვეწილ საშუალებებს ამ მიმართულებით სამოქმედოდ. დაინტერესებულმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ შრომის სამართლის საერთაშორისო სტანდარტები და სუპრანაციონალური ორგანიზაციების მიერ გამოცემული წესები, როგორებიცაა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ფუძემდებლური შრომითი სტანდარტები თუ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმძღვანელო პრინციპები მულტინაციონალური საწარმოებისათვის.

ნებისმიერ შემთხვევაში, კომპანიების მენეჯმენტში დასაქმებულთა ოფიციალური ჩართულობა (იქნება ეს ადმინისტრაციული თუ ფინანსური), ერთი მხრივ, მოლაპარაკებებში ჩართულობის პრობლემას ხსნის და, მეორე მხრივ,

ანეიტრალებს ორივე მხარის მიერ შემოთავაზებულ ინიციატივებს.

ამიტომაც, რომ კრიტიკის საგანი გახდა თანამშრომელთა სააქციო კაპიტალში მონაწილეობის სქემები (ESOPs) და ორმაგი ეკონომიკა.

სახელმძღვანელოში შემდგომ გამოკვლეულია სამართლებრივი ტერიტორიები, რომელთა შორის კავშირი აშკარაა, რასაც წინ უსწრებს სამართლიანი ანაზღაურების საკითხის განხილვა და მისი გამოყენება პროფესიულ კავშირებში არმყოფ დასაქმებულებზე *de minimis* შრომის პირობების დაცვით.

გალსახაა, რომ მზარდი მიგრაციის პირობებში (რასობრივი დისკრიმინაციის რისკები ასევე ითხოვს რასობრივ თემებზე დაფუძნებული პროფესიული კავშირის შესახებ პოლიტიკის შემუშავებას) იზრდება სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისთვის ზიანის მიყენების საფრთხე. ასევე გასათვალისწინებელია ამ დასაქმებულთა უფლებები, რადგან ეს დასაქმებულები წარმოადგენენ იაფ მუშახელს და საფრთხეს უქმნიან მინიმალური ხელფასის საწინააღმდეგო კამპანიას, ასევე შეღავათებს, რომლებიც წარმოადგენს განახლებული ეკონომიკური დემოკრატიის ქვაკუთხედს. ამან მომავალში უნდა მოიცვას სოციალური უსაფრთხოების და საპენსიო გეგმის რეფორმის კომბინირებული ანალიზი.

რომ შევაჯამოთ, 21-ე საუკუნის აშშ-ის შრომის სამართლის კემბრიჯის სახელმძღვანელო წარმოადგენს მნიშვნელოვან საშუალებას როგორც მეცნიერებისთვის, ისე პრაქტიკოსი იურისტებისთვისაც, გამოიყენონ პრაქტიკული საშუალებები და ახლადშემუშავებული პოლიტიკის საფუძველზე გამოიკვლიონ საკითხების ფართო სპექტრი, რომლებიც ხშირად უარყოფილია ხოლმე.

პროფ. დოქტ. ანდრეა ზორონი
ლუიჯი ვანვიტელის სახელობის
კამპანიის უნივერსიტეტი

ინგლისურიდან თარგმნა თამთა ზერიკელაშვილი*

* კერძო სამართლის მაგისტრი; ევროპული სამართლის მაგისტრი; შპს „ჰაიდელბერგემენტ ჯორჯიას“ ადამიანური რესურსებისა და შრომითი ურთიერთობების მენეჯერი; ა(ა)იპ – თანამედროვე შრომის სამართლის ცენტრის ასოციირებული წევრი.

The Cambridge Handbook of U.S. Labor Law for the Twenty-First Century – A Review

Professors *Garden* and *Bales*, in editing *The Cambridge Handbook of U.S. Labor Law for the Twenty-First Century*, were able to put together an astonishing team of scholars and make many varied contributions to several critical legal issues in the labor law domain.

The common thread of the book and its premise lay in the growing income inequality that will be dissected looking into the spyglass of the diminishing influence of unions. Although productivity, gross domestic product along with employment rates are on the increase in the United States (and also around the globe), purchasing power and wages and salaries of employees have been experiencing an ongoing fall. In parallel, unionization in the working place is getting thinner.

In light of these premises, the book calls for a structural reform, modernization and updating the National Labor Relations Act (NLRA).

As a matter of fact, not all the writings contained in the book are coherent with each other due to the overlapping and differing, if not contrasting, approaches presented. However, this is the actual value and strength of this handbook, capable of providing different voices and alternative ways to pursue a reform, granting the readers diverse answers to the challenges that the labor law nowadays presents.

As mentioned above, the starting point is a clear observable decline in union density.

The disappearance of strikes along with the weakened labor's political represent an expression of a loss in the manufacturing sector often delocalized and even more frequently absorbed by the on-demand work are all epiphanies of the lost bargaining influence that the Trade Union suffered; consequently, workers' rights suffered this lack of protection.

This perceived evanescence brought multilevel inequalities in job protections, minimum wages, coverage of health insurance and work safety at large.

The time has come to evaluate the potential changes to be applied to a labor law regulation that has unequivocally completed its process of ossification.

Historically, labor laws were designed for a specific and contextualized economy, social world and political view.

Its specificities render its transplantability unfeasible

in a different legal ecosystem.

The picture of gigantic firms manufacturing within an entirely integrated communication and transportation environment, where competition was within national arenas alone has been replaced by the deregulation process, globalization, fissured production networks and dematerialized capital where managers rule over firms and workers and govern dispersed supply chances spread geographically, and often dominated by labor law forum-shopping for the mere first thirst of profit.

Unfortunately, the bones of this process constitute barriers to reform, which grew up with an apparent inhomogeneity, since they all crafted a system where the original bunch of rights have been more and more frustrated in lieu of a pretended answer to the rush of global competition.

In other words, workers were forced, if not obliged, to forego part of their rights to not lose their employment. If this seemed a temporary and necessary reaction, nowadays it has become the rule.

The National Labor Relation Board, which was meant to be a promoter of collective bargaining and a support body to protect workers, as an Administrative Agency was not able to resist the continuous legislative interventions and reforms enacted to hack at it and increase political interferences.

Therefore, since scholars and legal interpreters are constrained to a chicane among those bones and poles, a potential useful set of tools could be discovered from the empirical evidences coming from State law experimentations, carried on within the layout of the federal regulation: the best practices and the more efficient results could be, at least ideally, deemed as solutions to be studied, circulated, and applied in different State contests.

These laboratories could provide a bottom-up proposal and an opportunity to buttress workers' rights and voices. Once the amelioration is perceived, this could then be uniformly introduced at a federal level.

The recourse to fragmented, independent and heterogeneous sources for the resolution of problems and proposed regulations could also be accomplished by turning to sectorial bargaining, where different unions work toward the interests of the employees or industry

sector whom they represent.

Within this atomistic approach, a peculiar role is played by the public sector and the innovation therein points at lauding the voice of civil servants. Here, a better involvement in the organization of work not only allows cohesion among the members of the public sector but also prevents strategic behavior, making customer service (citizens, in this case) more efficient and with no solution of continuity. In this framework, it could be easier to reshape trade unions and their role in a clearer cut manner: this process should be carried out giving some powers to the firm autonomy, being aware of the antitrust issues involved, avoiding any recourse to the use of force, being careful not to induce the workers to breaching of contract.

Since *The Cambridge Handbook of U.S. Labor Law* is projected in the twenty-first century, it dedicates a specific chapter to the vision of labor organizing as a civil right. Of course, this is a very sensitive issue, but, on the other side, these profiles have already entered antidiscrimination regulations at a supranational level.

The multidisciplinary and multiperspective methodology permits an in-depth, accurate and bright analysis of two issues that normally lay in between private and labor law, namely, the definition of what independent contractor is and the use of joint employment.

From a European point of view, going to the independent contractor has long been seen as a systemic legal peculiarity of the United States. The authors present the judicial solutions, both the achievements and principles of the National Labor Board, underlining how, actually, the Restatement (Second) of Agency applies; in few pages, the readers can enjoy a fully detailed presentation of all the factors employed to determine if a "relationship" is a labor law contract or an independent contractor one. In summary, the role of the control the employer has over the employee is the decisive test to ascertain the qualification. Slowly, the United States is embracing the European solution.

In the same vein, the handbook calls for attention to joint employment, whose risks of deregulation and diminished safeguards for the employee are self-evident.

These two examples are the epitomes of new labor relationships texturized by short terms, indirect attachment of an employee to multiple terms. Therefore, it is observable that even if work is changing the law is not reacting promptly and vulnerable workers are suffering more and more.

The workers of the twenty-first century are also in

the middle of economic concerns where poor Mac Donald's-like contracts are gaining ground and the take-it-or-leave-it formula is the leading rule.

But, maybe, once a worker is defined as an employee, according to the most authoritative tests elaborated by the legal formants, some minimum thresholds of safeguard should be automatically applied.

It means, in other words, that a misclassification of a contractor relationship could create a very profound discrimination.

The handbook also calls for an even higher attention to the changing nature of work and its social policy implications. From artisanal and industrial production and the digital era, the nature of work today, has become anonymized, leveled at the bottom and fungible. If a worker is replaceable like any kind of goods, the curve demand/offer will lead to poor salaries and evident inequalities.

This shift towards the detachment of the person of the workers has been facilitated by new technologies and the automated and robotic work that invaded the workplace.

These hurdles call for a new role for unions in the on-demand economy where a just balance between flexibility and rigidity is required: The notion of flex-security is vehemently knocking at the US labor law.

Even if it seems an oxymoron, if compared to the goals virtual dimension of the work today, trade unions have to find a physical place that is easily accessible and safe to conglomerate the workers, where their voices could be heard with no external interferences, preserving the right to assembly and leaving, allowing unwilling employees not to participate.

Furthermore, undeniably, the negotiation of a good contract must overcome barriers to bargaining. Game theory, the bounded rationality and the agent-principle relationship elaborated by the Economic Analysis of Law provide very sophisticated tools to behave and move in such a contest and, at least, as guiding models. The stakeholders should bear in mind the international labor law standards and the fixed points issued by supranational organizations such as the International Labor Organization core labor standards or the Organization for the Economic Cooperation and Development (OECD) and its guidelines for multinational enterprises.

In any case, official involvement of workers in the management of firms (be it administrative or financial) satisfies the need to be better placed when a negotiation

is started and the goal to moderate the aggressive initiatives that the two parties could propose.

It is for these reasons that the strong criticism raised against the employees stock ownership plans (ESOPs) and the binary economy is somehow surprising; indeed, the lack of a comparative overview of the solutions implemented at the level of the European States, in order to potentially channel the criticalities in the USA may be could have deserved a specific chapter or paragraphs dealing with the issues surveyed.

The handbook then explores a wide range of legal territories whose connections are self-evident, moving from the fair fees debate and its application to the non-unionized workers of the *de minimis* labor conditions.

It is clear to the mind of the editor that rising immigration (and the risks of racial working discrimination that may also call for an *ad hoc* trade union orga-

nization racially oriented policy) is harming the safety at the workplace and the threshold of safeguards and rights for workers since they represent cheap employable manpower and a menace for the campaign to obtain a minimum wage, whose benefits are a cornerstone for a renewed economic democracy. That should, in the future, also include a combined analysis of social security and retirement plan reform.

To sum up, *The Cambridge Handbook of U.S. Labor Law for the Twenty-First Century* represents a highly valuable tool for both the scholars and the practicing lawyers to address practical issues and *de lege ferenda* policies surveying a wide range of topics in a synthetic and clear way, whose analysis is frequently neglected or underestimated by most.

Prof. Dr. **Andrea Borroni**
University of Campania, *Luigi Vanvitelli*

რეცენზია დოქტ. ზაქარია შველიძის მონოგრაფიაზე „სამოქალაქო მოთხოვნათა ფარგლები შრომითი დისკრიმინაციის დავისას“

წიგნი, შესავლისა და დასკვნის ჩათვლით, შედგება ექვსი თავისგან, შესრულებულია 288 გვერდზე და მოიცავს: შესავალი ნაწილის გვერდებს (სატიტულო გვერდები, შინაარსი, აბრევიატურები და შემოკლებები) ძირითად ტექსტსა და ბიბლიოგრაფიას.

ზემოაღნიშნული თითოეული ნაწილი ასრულებს იმ ფუნქციას, რომ გაუმარტივოს მკითხველს ნაშრომის შინაარსისა და ავტორის მიერ განხორციელებული კვლევის სათანადო აღქმა და გააზრება.

ნაშრომი შესრულებულია გამართული ქართულით, ავტორის წერის სტილი და მოსაზრებათა გამოხატვის ფორმები იძლევა იმის საშუალებას, რომ აღქმულ იქნეს როგორც ციტირებული, ისე ავტორისეული მოსაზრებები თუ ანალიზის შედეგად გაკეთებული დასკვნები.

ნაშრომში, საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, დასმულია არაერთი თეორიული თუ პრაქტიკული მნიშვნელობის პრობლემა, რომელთა გადაჭრა-გადაწყვეტის გზების მოძიებასაც ცდილობს ავტორი და ამ ყოველივეს წარმატებით ართმევს თავს. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დასმული პრობლემები განხილული და გაანალიზებულია არა მხოლოდ შრომითი ურთიერთობის ე.წ. „სუსტი მხარის“, ე.ი. დასაქმებულის პერსპექტივიდან, არამედ მეორე მხარის – დამსაქმებლის პოზიციებიდანაც, რაც უდავოდ მისასალმებელია.

ნაშრომზე დართული ბიბლიოგრაფია საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება. ავტორს გამოყენებული აქვს როგორც შედარებით ადრეული წლების, ისე უახლესი პერიოდის ქართულ- და ინგლისურენოვანი ლიტერატურული წყაროები (მონოგრაფიები, კომენტარები, სამეცნიერო სტატიები და სხვ.), ანალიტიკური ხასიათის მასალა (CEACR-ის ანგარიშები) და საქართველოსა და ევროპული კავშირის სასამართლო პრაქტიკა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნაშრომში გამოყენებული ინგლისურენოვანი წყაროებისა და ქართული სასამართლოების გადაწყვეტილებების/ განჩინებების სიუხვე.

ძალზე საინტერესო და ინფორმაციულია ნაშრომის ის მონაკვეთები, რომლებშიც საუბარია შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვის

ცალკეულ ასპექტზე, მათ შორის, მის არსსა და მიზანზე, დაცულ საფუძვლებსა და ფარგლებზე, ისევე, როგორც დისკრიმინაციის აკრძალვის ზოგადი წესისგან გამონაკლისებზე, რაც, ერთი მხრივ, ემსახურება თემის აზრობრივ გაშლასა და განვრცობას, ხოლო, მეორე მხრივ კი, უზრუნველყოფს აღნიშნული ასპექტების სისტემურ და კომპლექსურ გამოკვლევას, მით უმეტეს იმის ფონზე, რომ ქართულ შრომის სამართალში როგორ უკვე განხორციელებული, ისე ჯერ კიდევ მიმდინარე რეფორმა ერთორად აყენებს დღის წესრიგში ამ თუ სხვა საკითხების მონოგრაფიულ დონეზე გამოკვლევის საჭიროებას, რასაც ავტორმა შესანიშნავად გაართვა თავი.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნაშრომის ის ნაწილები, სადაც საუბარია შრომითი დისკრიმინაციის სამოქალაქო სამართლით მოწესრიგებულ სამართლებრივ შედეგებზე, კერძოდ, დასაქმებულის შესაბამის მოთხოვნებზე როგორც წინასახელშეკრულებო, ისე უშუალოდ შრომით ურთიერთობასა თუ მისი შეწყვეტისას გამოვლენილი დისკრიმინაციული მოპყრობის შემთხვევაში, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნების განხორციელების თავისებურებებზე, რამდენადაც ეს ყოველივე უშუალოდ დაკავშირებულია საკვლევი თემასთან.

რაც შეეხება ნაშრომის ბოლო ნაწილს, მასში ჩამოყალიბებული დასკვნები და გამოთქმული რეკომენდაციები უთუოდ უნდა იყოს გათვალისწინებული როგორც მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფის, ისე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების ჯერ კიდევ მიმდინარე პროცესში.

საერთო ჯამში, განსახილველი საკითხები შინაარსობრივად ისეა დალაგებული, რომ ლოგიკურ ჯაჭვს კრავს. ამასთან, ნაშრომის ცალკეულ ნაწილში მოცემული ყველა საკვანძო საკითხი განხილული და გაანალიზებულია სათანადო სიღრმით. კვლევის ობიექტის ძირითადი ასპექტები ამომწურავად და სიღრმისეულად არის გამოკვლეული. ავტორს კეთილსინდისიერად აქვს შესწავლილი სათანადო წყაროები და ამჟღავნებს დამოუკიდებელი მსჯელობის, თეორიული და ნორმატიული მასალების ანალიზის, საკუთარი აზრის დამაჯერებლად დასაბუთების უნარს,

რაც ცალსახად იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ნაშრომი შესრულებულია მაღალ აკადემიურ დონეზე.

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ზოგადსამეცნიერო, მათ შორის, ისტორიული, შედარებითი, სისტემური, ანალიზისა და სინთეზის, ასევე ლოგიკური მეთოდების გამოყენება. ეს ხელს უწყობს კვლევის ობიექტის სხვადასხვა ასპექტის შეჯერებას, მისი სამართლებრივი ბუნების სწორად გაგებას.

კვლევითი ნაწილის შედეგები წარმოდგენილია ნაშრომის დასკვნით, მეექვსე თავში, სადაც ჩამოყალიბებულია განხორციელებული კვლევის ძირითადი შემაჯავებელი თეზისები.

ნაშრომში განხილულია როგორც რელიგიანტური კანონმდებლობა, ისე თემატური სასამართლო პრაქტიკა ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე. ამასთან, ავტორს მხედველობის მიღმა არ რჩება იმ უახლესი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გათვალისწინება და გაანალიზება, როგორცაა, მაგალითისათვის, საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილება და ა.შ. გარდა ამისა, ნაჩვენებია ქართული სასამართლო პრაქტიკის განვითარების ძირითადი ტენდენციები საკვლევი თემატიკის გარშემო და იკვეთება კონკრეტულ გადაწყვეტილებათა კრიტიკული ანალიზიც. ცალკეულ შემთხვევაში, ავტორი საფუძვლიანად აკრიტიკებს ეროვნულ სამოსამართლო სამართალში დამკვიდრებულ მიდგომებს და შემოთავაზებული აქვს საკუთარი პოზიცია.

ამდენად, ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა ერთობ დიდია. საერთო ჯამში, ავტორი გამოთქვამს არაერთ მოსაზრებასა თუ განმარტებას საკვლევი თემატიკის, შესაბამისი კანონმდებლობისა და დამკვიდრებული პრაქტიკის ირგვლივ, რაც უდავოდ საინტერესო და სასარგებლო იქნება როგორც კანონშემოქმედების, მოსამართლეების, უფლებადამცველებისა და სხვა პრაქტიკოსი იურისტებისათვის, ისე საკითხით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

ნაშრომის 229-ე გვერდზე ავტორი, შესაბამის

მსჯელობაზე დაყრდნობით, მიუთითებს ქართული სამართლის ხარვეზზე მინიმალური კომპენსაციის შესახებ საკანონმდებლო მოწესრიგების არარსებობის თვალსაზრისით. სასურველი იქნებოდა, ავტორს მოეყვანა კონკრეტული რეკომენდაციები აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

ნაშრომის 233-ე გვერდზე ავტორი აღნიშნავს: „ევროპული კავშირის შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვის სამართლით დაშვებული დასაქმებულთა გაერთიანების ან სხვა დაინტერესებული ორგანიზაციის მიერ სარჩელის აღძვრის მექანიზმი არ არის გათვალისწინებული ქართულ შრომის სამართალში“. სასურველი იქნებოდა, ავტორს შემოეთავაზებინა წინადადებები ამ ხარვეზის აღმოფხვრასთან დაკავშირებით.

ნაშრომის დასკვნაში, როგორც ეს შესავალშივე იყო დასახული ავტორის მიერ, „ქართულ სამართლებრივ სივრცეში არარეალიზებად მოთხოვნებთან მიმართებით ხაზგასმულია საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროება“. სასურველი იქნებოდა, ზოგადი მსჯელობის ნაცვლად, ავტორს მიეთითებინა, კონკრეტულად რა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება აუცილებელი საქართველოს შრომის კოდექსში, ასევე ევროპული კავშირის დირექტივებთან დაახლოებისთვის კონკრეტულად რა კუთხით საჭიროებს დახვეწას ქართული შრომის კანონმდებლობა და ა.შ.

დაბოლოს, წინამდებარე ნაშრომი არის შრომით დისკრიმინაციაზე დავისას სამოქალაქო მოთხოვნათა ფარგლების საფუძვლიანი გამოკვლევა, წარმოადგენს ავტორის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს, ასახავს თეორიული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს, ახასიათებს მეცნიერული სიახლე, წვლილი შეაქვს ქართული სამართლის განვითარებაში და, რეცენზიაში გამოთქმული შენიშვნებისა თუ მოსაზრებების მიუხედავად, სრულად აკმაყოფილებს მისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, რითაც იმსახურებს დადებით შეფასებას.

ასისტ.-პროფ., დოქტ. გიორგი ამირანაშვილი

Review on the Monograph by Dr. Zakaria Shvelidze “The Scope of Civil Claims in Labour Discrimination Disputes”

The book, including the introduction and conclusion, consists of six chapters, 288 pages, which includes: an introduction (title pages, contents and abbreviations), the main text and bibliography.

Each of the above sections facilitates a proper perception and understanding of the content of the work and the research carried out by the author.

The book is written in Georgian. The author’s writing style and the forms of expression of opinions allow perceiving both quoted and the author’s opinions and conclusions drawn as a result of analysis.

The work, based on the research topics, raises many problems of theoretical and practical significance, for which the author tries to find solutions and successfully copes with all of them. No less important, the posed problems are discussed and analysed not only from the perspective of the so-called “weaker party” in the employment relationship, i.e., the employee, but also from the position of the other party – the employer, which is undoubtedly welcomed.

The bibliography attached to the work looks quite solid. The author has used Georgian and English language literary sources (monographs, commentaries, scholarly articles, etc.), analytical material (CEACR reports) and the case laws of Georgia and the European Union. Special mention should be made of the abundance of English language sources used in the work and the decisions/rulings of Georgian courts.

Very interesting and informative are the sections of the book which deal with certain aspects of the prohibition of labour discrimination, including its essence and purpose, the protected grounds and scope, as well as exceptions to the general rule of the prohibition of discrimination. This, on the one hand, serves the intellectual development and expansion of the topic, and, on the other hand, provides a systematic and complex examination of these aspects. It is especially important against the background that the already implemented and still ongoing reform in Georgian labour law puts on the agenda the need to study these or other issues at the monographic level, which the author has perfectly coped with.

Special mention should be made of the parts of the work where the legal consequences of labour discrimination are regulated by civil law. In particular, the rel-

evant requirements of the employee, both in the case of pre-contractual and direct employment or in the case of discriminatory treatment identified during its termination, as well as the peculiarities of the implementation of these requirements, as it is all directly related to the research topic.

As for the last part of the work, the conclusions and recommendations expressed in it should be taken into account in the ongoing process of improving the current legislation as well as the establishment of uniform case law.

In general, the issues under consideration are logically organized in terms of content. However, all the key issues in a separate part of the work are discussed and analysed in depth. The main aspects of the research object are thorough and explored in depth. The author has conscientiously studied the relevant sources and demonstrates the ability of independent reasoning, analysis of theoretical and normative materials, convincingly reasons his opinions, which uniquely allows saying that the work is performed at a high academic level.

The methodological basis of the research includes general scientific, including historical, comparative, systematic, analysis and synthesis, as well as logical methods. This helps to reconcile different aspects of the research object and properly understand its legal nature.

The results of the research part are presented in the conclusion of the work, the sixth chapter, where the main summary theses of the conducted research are formulated.

The work discusses both relevant legislation and thematic case law at the local and international level. At the same time, the author does not overlook the consideration and analysis of the latest legislative and sub-legislative normative acts such as the Organic Law of Georgia on Labour Safety, the relevant resolution of the Government of Georgia, etc. Furthermore, the main trends in the development of Georgian court practice around the research topics are shown and a critical analysis of specific decisions is also evident. In some cases, the author thoroughly criticizes the approaches established in national judicial law and has proposed his position.

Thus, the practical significance of the work is generally great. In general, the author expresses a number of opinions or explanations on research topics, relevant legislation and established practice, which will undoubtedly be interesting and useful for lawmakers, judges, human rights defenders and other practising lawyers as well as for a wide range of readers interested in the issue.

On page 229 of the book, the author, based on the relevant reasoning, points out the shortcomings of Georgian law in terms of the lack of legislative regulation regarding minimum compensation. It would be desirable for the author to make specific recommendations to eliminate this shortcoming.

On page 233, the author states: "The mechanism of initiating a lawsuit by a union of employees, allowed by the European Union for the prohibition of labour discrimination or other interested organization, is not provided for in Georgian labour law". It would be desirable for the author to offer suggestions for eliminating

this shortcoming.

In conclusion, as it was stated in the introduction, the author states, "the need for legislative changes concerning unrealizable claims in the Georgian legal space is emphasized". Instead of a general discussion, it would be desirable for the author to indicate what legislative changes are necessary in the Labour Code of Georgia as well as what is the specific aspect of the Georgian labour legislation that needs to be improved to approximate it with the EU directives, etc.

Finally, the present work is a thorough examination of the scope of civil claims in the dispute of labour discrimination. It is the result of the author's independent research, which reflects the substantiated results of theoretical research, characterizes scientific novelty, contributes to the development of Georgian law and, regardless of the remarks or opinions expressed in the review, fully meets the requirements set for it, thus deserving of a positive assessment.

Asst. Prof. Dr. **Giorgi Amiranashvili**

II. ԵՐԱՅԵՐ

II. ARTICLE

Victimization as a Mechanism to Protect Employees from Discrimination

Abstract

The law fights against discrimination in labour relations. However, it is very weak and ineffective due to poor monitoring and sanctioning. Victimization is a mechanism which protects the employee from repetitive discrimination and wrongful termination of employment. Victimization status can be obtained by initiating a lawsuit/complaint or informing non-government organizations or/and public defender of human rights.

Victimization is the result of fulfilling international obligations. As a result of the amendments to the Labour Code of Georgia, the employee has the right to be protected peremptorily by the law from dismissal as well as repeated discrimination. The imperative norm of law makes the mechanism effective.

The preventive nature of victimization is noteworthy as the employee, precisely because of the benevolence protected by victimization, does not often challenge unequal treatment and discrimination. By this change, an employee is guaranteed to have his or her legitimate interest protected before a decision is made. This is why victimization can become an improving

factor in the process. Targeted statistics, as well as sociological research and effective monitoring, are required for the enforcement of the norm. As of today, the existing mechanisms fail to provide opportunities to protect employees from discrimination. Due to the lack of quarterly or annual surveys in public and private organizations and the lack, or weakness, of internal departmental supervision, the real discrimination rate in the current labour market is unknown. There are no measures aimed at increasing the awareness of information though, at the same time, labour agreements specify to the parties that the Labour Code of Georgia, which the party is not aware of in some cases, defines the scope of their rights and duties.

It's important for legislative regulations to become clearer, and include specific types of discrimination. This will help to identify discrimination and prevent any future discrimination as well as protect employee rights.

With a complex approach, we will be able to subject the process to effective management and turn it into a preventive mechanism.

ვიქტიმიზაცია, როგორც დასაქმებულის დისკრიმინაციისგან დაცვის მექანიზმი

შესავალი

დისკრიმინაციის პრობლემა მსოფლიოს თანამედროვე ქვეყნებისთვის და, მათ შორის, საქართველოსთვის დიდი გამოწვევაა. სახელმწიფოს ევალება, რომ დაიცვას პროცესებში ჩართული მხარეების უფლებები და თავისუფლებები და არ დაუშვას ადამიანის ღირსების შემლახველი ფაქტები. ხშირად, დისკრიმინაციას ვერ აიგივებენ ღირსების შემლახველ ფაქტთან დამასგანზოგადებულად ხედავენ. მიუხედავად ამისა, დისკრიმინაციას მკაფიო და აშკარა ნიშნები აქვს.

დისკრიმინაციისგან დამცავი ერთ-ერთი არსებითი მექანიზმია ფაქტის გასაჩივრება სასამართლო გზით. სასამართლო ინსტიტუტი შეიცავს სასარჩელო წარმოების კონკრეტულ ვადებს და იძლევა დარღვევის ფაქტის გამოკვლევის შესაძლებლობას. სასამართლო წარმოების პროცესში, საქართველოს შრომის კოდექსით გარანტირებული სამართლებრივი ბერკეტი – წარმოების განმავლობაში არ გათავისუფლდეს პირი დაკავებული სამსახურებრივი პოზიციიდან – წარმოადგენს მნიშვნელოვან დამცავ მექანიზმს. საქართველოს შრომის კოდექსში 2019 წლის 19 თებერვალს შესული ცვლილებებით, ვიქტიმიზაციის მექანიზმი არა მხოლოდ სასამართლო დავებზე ვერცელდება, არამედ მოიცავს დასაქმებულის დაცვას, იმ დროსაც, როდესაც ის განცხადებით მიმართავს ან ინფორმაციას აწვდის შესაბამის ორგანოს.

დისკრიმინაციის მზარდი შემთხვევების აღმოფხვრას, ასევე, საქართველოს ახალი კონსტიტუციის დამცავი, პრევენციული მექანიზმების პრაქტიკაში დანერგვას ემსახურება ვიქტიმიზაციის ეფექტური რეალიზება შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში. საერთაშორისოსამართლებრივი ვალდებულებების აღსრულება, საკანონმდებლო ცვლილების პაკეტთან ერთად, მის ეფექტურ რეალიზებას გულისხმობს, რომელიც, უპირველესად, პრაქტიკაში დანერგილი პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების ჯეროვან განხორციელებაში გამოიხატება.

უპირველესი მიზანი შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში დისკრიმინაციის ფაქტების შემცირებაა, საბოლოოდ, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების მიზნით.

2. დასაქმებულის დისკრიმინაცია, როგორც ფაქტობრივი მოცემულობა

დისკრიმინაცია, თავისი ბუნებით, ხშირად აღიქმება, როგორც შეფასებითი მოცემულობა, როდესაც ყველა სფეროსა და შემხებ ფაქტორს მოიცავს. კონსტიტუციით, დისკრიმინაცია აკრძალულია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.¹ საქართველოს შრომის კოდექსით, ანალოგიურ ჩაშლასთანსდევს დისკრიმინაცია, ამ რომელიმე ნიშნით გამოხატული ღირსების შელახვით, დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნით.² აღსანიშნავია, რომ არსებული რეგულაციით, საქართველოს შრომის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს დისკრიმინაციის ერთგვარ დეფინიციას, რომლის მე-3 პუნქტი ირიბ დისკრიმინაციაზე მიუთითებს და მას აქცევს ნეიტრალური დებულების, პრაქტიკის, კრიტერიუმის შეფასებით ჩარჩოში.³ დისკრიმინაციის შეფასებით ტესტში, შეფასებითი ტერმინების ფართო გამოყენება მას აქცევს რამდენადმე ინტერპრეტაციის წყაროდ, მით უფრო, რომ დისკრიმინაციის ფაქტის აღმომფხვრელი საწყის ეტაპზე თავად განმცხადებელი პირი/დასაქმებული არის, რომელიც არათუ ნაკლებად ფლობს

* სამართლის მაგისტრი, იურისტი, სს „ბაზის ბანკის“ მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილების უფროსი.
¹ იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტი.
² იხ. საქართველოს შრომის კოდექსის მე-4 მუხლი.
³ იხ. საქართველოს შრომის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.

ამ ტერმინების შესაძლო, შემომსაზღვრელ ჩარჩოს, არამედ დისკრიმინაციას მკაფიო, განგრძობად ფაქტად მოიაზრებს. ნორმის სიცხადე, ხშირ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის საპირწონეობას განაპირობებს, მათ შორის, ართულებს ფაქტის დადასტურების, როგორც მტკიცებულების წარმოდგენის პროცესს. განხორციელებული ცვლილებებით, გვხვდება დამატებითი დიფერენცირება, სრული და არასრული სამუშაო განაკვეთისას ანალოგიური პოზიციების შემთხვევაში, ამ ზემოთქმულის გათვალისწინებით განსხვავებული მოპყრობის აკრძალვა.⁴ მსგავსი დამცავი, პრევენციული ნიშნის მატარებელია ნორმა, რომლის მიხედვითაც, დამსაქმებელი ვალდებულია, შეზღუდული შესაძლებლობის პირებისათვის სამუშაოს განსახორციელებელი პირობები შეიმუშაოს შესაბამისი სტანდარტებით.⁵

დისკრიმინაცია გულისხმობს თანაბარ ან სხვადასხვა პირობებში, იდენტურ პოზიციებზე არათანაბარ მოპყრობას ორი ადამიანის მიმართ. აქედან გამომდინარე, ამოსავალი წერტილი არის იდენტური მოცემულობა დასაქმებულებისადმი, რომლის დროსაც, განსხვავებული, დისკრიმინაციული დამოკიდებულება არის შეფასებითი კრიტერიუმით ფაქტის დადასტურებისთვის. დისკრიმინაციის გამოხატვის ფორმებია პირდაპირი ან ირიბი, კერძოდ, სიტყვიერი, მოქმედებით გამოხატული და იმდაგვარად ირიბი, რომელიც დისკრიმინაციულ ნიშნებს მოიაზრებს. განმასხვავებელი ნიშანი შეიძლება იყოს სქესი, ასაკი, რასა, ამა თუ იმ სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება. დისკრიმინაცია შესაძლებელია იყოს სოციალური, სექსუალური, რასობრივი და კანონით გათვალისწინებული ყველა ნიშნით.⁶ შინაარსობრივი მხარე, თუ რომელი ფორმის, ნიშნის დისკრიმინაცია არის გამოხატული, ნაკლებმნიშვნელოვანია, რადგან არსებითა თავად დაცული სიკეთის ხელყოფა. მათ შორის, გამოხატული ფორმის სიმძიმე, ჯერადობა და განგრძობადობის მაჩვენებელი არ არის არსებითი დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურებისთვის.

⁴ იხ. საქართველოს შრომის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁵ იხ. „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2020 წლის 14 ივლისის №6850-რს ორგანული კანონი, 1-ლი მუხლი.

⁶ იხ. ბორონი ა. (რედ.), საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი, თბ., 2016, 26-28.

დისკრიმინაციის ფორმაა გონივრული მისადაგება და დავალება⁷, რომელიც ქართულ კანონმდებლობაში ცხადად არ არის გაწერილი. პირველი შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში გვხვდება და წარმოადგენს ერთგვარ პრინციპს, რა შემთხვევაშიც, ამა თუ იმ ნიშნით განსხვავება არ არის მიჩნეული დისკრიმინაციად. ის შეიძლება საგამონაკლისო რიგებში მოაზრებულ განსხვავებად მიიჩნიოს დამსაქმებელმა, თუ არ იქნება მკაცრი გამიჯვნა ლეგიტიმურ განსხვავებულობასა და მისადაგებას შორის. დავალება ერთგვარი ირიბი დისკრიმინაციაა, რომლის დროსაც, კონკრეტული პირი სხვისი მეშვეობით ახდენს მესამე პირზე დისკრიმინაციას ამა თუ იმ ნიშნით.⁸ რეალურად, ამ ფორმის დისკრიმინაციის მაჩვენებელი არ არსებობს, რადგან შესაბამისი მონაცემები ამ ნიშნის უთანასწორობის შესახებ არ მოიძებნება, რაც განპირობებულია მოქმედი კანონმდებლობით.

ინტერსექციური დისკრიმინაცია დასეგრეგაცია⁹ ასევე წარმოადგენენ იმ ფორმის დისკრიმინაციებს, რომლებიც არ არიან მკაცრად გამიჯნული საკანონმდებლო დონეზე. ინტერსექციური დისკრიმინაცია გულისხმობს კონკრეტული ჯგუფისადმი არსებულ დისკრიმინაციას, ხოლო სეგრეგაცია ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ კონკრეტული პირის თუ ჯგუფის იზოლირების გამოწვევაა დისკრიმინაციული ნიშნით.¹⁰ თანაბარი მოპყრობის შესახებ 2006/54/EC დირექტივით¹¹ სავალდებულოა, სახელმწიფომ მოახდინოს თანაბარი მოპყრობის პირობების რეგლამენტირება საკანონმდებლო აქტებში, დამცავი და აღსრულების მექანიზმების ჩათვლით. ანალოგიურად, სავალდებულოა დისკრიმინაციის აკრძალვისა და თანასწორობის მიღწევის

⁷ იხ. Council Directive 2004/113/EC of 13 December 2004 Implementing the Principle of Equal Treatment Between Men and Women in the Access to and Supply of Goods and Services.

⁸ იხ.: UN Human Rights Committee (HRC), CCPR General Comment No. 18: Non-discrimination, 10 November 1989; UN Committee on Economic, Social and Cultural Rights (CESCR), General Comment No. 20: Non-discrimination in Economic, Social and Cultural Rights (art. 2, para. 2, of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights), 2 July 2009, E/C.12/GC/20.

⁹ იხ. Council Directive 2000/43/EC of 29 June 2000 Implementing the Principle of Equal Treatment Between Persons Irrespective of Racial or Ethnic Origin.

¹⁰ Council Directive 2000/78/EC of 27 November 2000 Establishing a General Framework for Equal Treatment in Employment and Occupation.

¹¹ იხ. Directive 2006/54/EC of the European Parliament and of the Council of 5 July 2006 on the Implementation of the Principle of Equal Opportunities and Equal Treatment of Men and Women in Matters of Employment and Occupation (Recast).

მოთხოვნა ფუნდამენტურ უფლებებში¹², 43/78/113-ე დირექტივებში¹³, სოციალური უსაფრთხოების მიზნით თანასწორობის მიღწევის ვალდებულების შესახებ და დასაქმებულთა უფლებების შესახებ დირექტივებში¹⁴. ყველა ამ ზემოთქმული ნორმის გამოიარებელია სახელმწიფო, სამოქმედო გეგმისა და ასოცირების შესახებ შეთანხმების¹⁵ მიხედვით. კერძოდ, თანამდევნი სამოქმედო გეგმის ნაწილი იყო გეგმური რატიფიცირება და შიდასახელმწიფოებრივი ნორმების ჰარმონიზება მოცემულ ნორმებთან მიმართებით.¹⁶ განხორციელებული ცვლილებებით, მთელი რიგი დისკრიმინაციული ჩაშლა საკანონმდებლო სპექტრზე დღემდე არ არსებობს, ამავდროულად, კანონპროექტი¹⁷ საქართველოს შრომის კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ, არ მოიცავდა დეტალურ და ადეკვატურ ჩაშლას.¹⁸ ცვლილებების პაკეტში არ არსებობდა დისკრიმინაციის ფორმების ზუსტი ჩაშლა, ასევე, ეფექტური¹⁹, ზედამხედველობითი სისტემა²⁰.

განხორციელებულ ცვლილებებში არსებითია დისკრიმინაციის აკრძალვის საყოველთაოების პრინციპის დანერგვა სამუშაოს მაძიებლის საწყისი ეტაპიდან შეწყვეტის ეტაპამდე, მათ შორის, წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას, პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე პროფესიული ორიენტაციის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ყველა ფორმისადმი, შესაძლებლობის ფარგლებში, განურჩეველი ხელმისაწვდომობა. ამავე ცვლილების თანახმად, დამსაქმებელი, ვაკანტური პოზიციის

გამოცხადებისას²¹, გარდა საგამონაკლისო ფაქტორების შემთხვევაში, ვალდებულია, მის მიერ გამოცხადებული ვაკანსია არ შეიცავდეს დისკრიმინაციულ ნიშნებს.²² არსებული კანონის თანახმად, დამსაქმებელს ევალება ყველა ამ ზემოთქმულის შემუშავება ორგანიზაციის შინაგანაწესში. სასურველია, რომ მსგავსი მოთხოვნა გავრცელდეს შრომით ხელშეკრულებებზეც, მით უფრო, რომ ყოველ არსებულ ეტაპზე ინფორმაციის მიწოდება დასაქმებულისთვის არის სავალდებულო და აუცილებელი, რომ განხორციელებული ცვლილებები აღსრულდეს და შეეძლოს დასაქმებულს, ფლობდეს ინფორმაციას მისდამი შესაძლო დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის შესახებ. თანამდევად, არსებითია, ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების²³ შემუშავებით, დისკრიმინაციის აკრძალვა საჯარო დაწესებულებებში. მიუხედავად ამისა, ზედამხედველობა მოცემული თემისადმი სუსტია. ამავდროულად, არ არსებობს კერძო ორგანიზაციებში, კანონის აღსრულების მიზნიდან გამომდინარე, მოკვლევის ეფექტური მექანიზმები და გატარებული სანქციების საჯარო ინფორმაციის ფორმით გაცემა, იმგვარად, რომ არსებულმა თემამ გადაინაცვლოს ბიზნესმარკეტინგის სფეროში.

კანონის დეკლარაციული ახსნა შეფასებითი ნაწილია, რომელიც მახასიათებლებით განიმარტება. პირობითად, სოციალური ნიშნით დისკრიმინაციისას, დამატებით ფორმად და ნიშნად გვევლინება გარემო – თანაბარი პირობები, ქმედება/სიტყვიერი გამოხატვა სრული ზმით დისკრიმინაციულ მოტივთან. სწორედ ამ ზმებისა და საგამონაკლისო ნორმების გამოკლებით მიიღება შეფასებითი დისკრიმინაციული ფაქტი. თავის მხრივ, გვხვდება პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაცია, ამავდროულად, აკრძალვის აბსოლუტური ბუნების ქვეწყობა მოპყრობისა და პოზიტიური ვალდებულების ნაშთით.²⁴

დისკრიმინაციის აბსოლუტური აკრძალვა გულისხმობს იმას, რომ დამსაქმებელი თანაბარ პირობებში არ იყოს თვითნებური, ანუ თვითნებურად არ იყოს დისკრიმინაციული თანაბარ პირობებში მყოფი დასაქმებულებისადმი.

¹² Charter of Fundamental Rights of the European Union (2012/C 326/02), 21-ე მუხლი.

¹³ იხ.: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A32000L0043>>; <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32004L0113>>; <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:32000L0078>>, [26.05.2020].

¹⁴ იხ.: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A31979L0007>>; <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32006L0054>>, [26.05.2020].

¹⁵ იხ. „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“.

¹⁶ იხ. <<http://migration.commission.ge/files/vlap-eng.pdf>>, [26.05.2020].

¹⁷ იხ. <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/25896/shroma_sakanonmdeblo_cinadadeba_2>, [26.05.2020].

¹⁸ იხ. *კერესელიძე თ.*, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საქართველოს შრომის კანონმდებლობის ანალიზი – დასაქმების ადგილზე სქესის ნიშნის მიხედვით დისკრიმინაცია და მისი სამართლებრივი შედეგები, თბ., 2014, 27-29.

¹⁹ იხ. <<https://gyla.ge/ge/post/saias-shenishvnebi-shromis-kodeqsis-proeqtan-dakavshirebit#sthash.0C8i7bU.dpbs>>, [26.05.2020].

²⁰ იხ. <<https://www.transparency.ge/ge/blog/shromit-urtiertobeshi-damatebiti-antidiskriminaciuli-sakanondeblo-garantiebi-inergeba?page=0%2C3>>, [26.05.2020].

²¹ იხ. <<https://www.transparency.ge/ge/blog/shromis-kodeksshi-dagegmili-tsvlilebebi>>, [26.05.2020].

²² იხ. საქართველოს შრომის კოდექსის მე-5 მუხლი.

²³ იხ. „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №200 დადგენილება, მე-14 და მე-15 მუხლები.

²⁴ *Rutherglen G.A., Donohue III J.J., Employment Discrimination: Law and Theory*, Foundation Press, New York, 2005, 25.

აბსოლუტური ბუნება მოიაზრებს პოზიტიური ვალდებულების იმგვარ დაცვას, რომლის დროსაც, დასაქმებელი ვალდებულია, სამართლიანად მოექცეს დასაქმებულს.²⁵ ამავდროულად, დასაქმებლის მხრიდან არსებობს მუდმივი ვალდებულება, თანაბრად მოეპყრას დასაქმებულს, თანაბარ პირობებში (ფუნქციური ნიშნით). არაფუნქციური დანიშნულებით, არაიდენტურ პოზიციებზე დასაქმებულის დისკრიმინაცია ვერ იქნება რელევანტური, რადგან მისდამი შრომითი დისკრიმინაციის ფორმა გადაიზრდება დისკრიმინაციის ზოგად მახასიათებლებში და არა ფუნქციურად იდენტურ დასაქმებულებს შორის დისკრიმინაციულ მოპყრობაში.

არსებითია დისკრიმინაციული შიგთავსის კვალიფიკაცია ფაქტის დადასტურებისთვის. შესაძლო ფაქტის გამოხატვა სიტყვიერად ან ქმედებით, შევიწროების ირიბი მექანიზმებით მაიდენტიფიცირებელი ნიშანია, მაგრამ მეორეული²⁶, რამდენადაც ამ ფორმების ძიება და აღმოფხვრა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა და უარყოფითი ვალდებულების განხორციელებამდე, ბუნებრივია, ეფექტური და სწრაფი მექანიზმი უნდა იყოს დანერგილი.²⁷

ყველა დისკრიმინაციული მოპყრობა ვერ შეფასდება დისკრიმინაციად, მაგრამ დისკრიმინაციის გარკვეული ნიშნები შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს უპირობო დისკრიმინაციულ გამოხატვად, თუკი მათი შემხებლობა არ არსებობს დასაქმებულის მხრიდან შესასრულებელ სამუშაოსთან. კანონიერი დისკრიმინაციის ფორმაა, მაგალითად, მეზახტის განსხვავება სქესის ნიშნით, ანუ ფუნქციური დანიშნულებისთვის საჭირო გამართლებადი დისკრიმინაცია, მხოლოდ რელევანტური ნიშნითა და ფორმით.

საგამონაკლისო ნორმათა რიგს განეკუთვნება საზოგადოებრივი წესრიგის მიზნით განხორციელებული დისკრიმინაცია კონკრეტული პირისადმი, ასევე, მესამე პირის უფლებების დაცვის მიზნით განხორციელებული დისკრიმინაცია კონკრეტული პირის მიმართ.²⁸

მიერ განსაზღვრული ოდენობით. მითითებული რეგულაციით დამსაქმებლისათვის დადგენილია უკანონოდ გათავისუფლებული დასაქმებულის პირვანდელ სამუშაოზე აღდგენა, ხოლო თუკი აღნიშნული შეუძლებელია, მაშინ მომდევნო რიგითობით დადგენილი ვალდებულებების შესრულება“.²⁷

როდესაც უკანონოდ დათხოვნილი სუბიექტი შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობასა და უფლებებში აღდგენას ითხოვს, სასამართლომ თავად უნდა გამოძებნოს საუკეთესო გზა. თუ მოსარჩელის ინტერესი პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენაა, სასამართლომ დასაქმებულისა და დამსაქმებლის ორმხრივი პატივსადები ინტერესების დაცვით უნდა შეამოწმოს მითითებული მოთხოვნის საფუძვლიანობა და მიზანშეწონილობა. მხოლოდ აღნიშნულის გათვალისწინების შემდგომ უნდა შეაფასოს ტოლფას სამუშაოზე (როგორც ფუნქციური დატვირთვით, ისე შრომის ანაზღაურების მხრივ მსგავსი თანამდებობა) პირის აყვანის, ამის შემდგომ კი კომპენსაციის დაკისრების შესაძლებლობა.²⁸

7.1.1. კომპენსაციის ოდენობა

სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებები აქვს კომპენსაციის ოდენობასთან დაკავშირებით, კერძოდ, სასამართლოს განმარტებით, „კომპენსაციის, როგორც დასაქმებულის უფლებრივი რესტიტუციის საშუალების დადგენა და მისი ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს დისკრეციაა, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ შრომითსამართლებრივი კომპენსაცია ერთდროულად ფარავს იმ მატერიალურ დანაკარგს, რაც მხარემ უკანონოდ დათხოვნით განიცადა და რასაც იგი საშუალოდ შესატყვისი სამსახურის მოძებნამდე განიცდის, ასევე, იმ მორალურ ზიანს, რაც მას უკანონოდ დათხოვნით მიადგა. ამავდროულად, მხედველობაშია მისაღები უკანონოდ დათხოვნილი სუბიექტის ასაკი, კომპეტენცია, სამსახურის შოვნის პერსპექტივა, ოჯახური მდგომარეობა, სოციალური მდგომარეობა, ასევე, დამსაქმებლის ფინანსური მდგომარეობა და ა.შ. კომპენსაცია შეძლებისდაგვარად უნდა უზრუნველყოფდეს იმ ზიანის ანაზღაურებას,

²⁷ სუსგ, 2016 წლის 29 იანვარი, №ას-951-901-2015; 2015 წლის 29 იანვარი, №ას-931-881-2015.

²⁸ სუსგ, 2018 წლის 29 აგვისტო, №ას-637-637-2018.

რომელიც გათავისუფლების შესახებ ბათილი ბრძანების შედეგად წარმოეშვა დასაქმებულს, ამავდროულად, მისი ოდენობა უნდა იყოს გონივრული და არ უნდა ქმნიდეს არცერთი მხარისათვის უსაფუძვლო გამდიდრების ობიექტურ წინაპირობებს.²⁹ კომპენსაციის განსაზღვრის საკითხი მარტივად წყდება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ვადიანი ხელშეკრულების შეწყვეტას, ასეთ შემთხვევაში, დასაქმებულს კომპენსაცია მიეცემა მთელი იმ პერიოდისთვის, რომელსაც დასაქმებული ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე მიიღებდა.³⁰

ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც დასაქმებული დამსაქმებელთან უვადო შრომით ურთიერთობაში იმყოფება, კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება გონივრულობის ფარგლებში, ისე, რომ აღნიშნულმა რომელიმე მხარის უსაფუძვლო გამდიდრება არ გამოიწვიოს და, ამავდროულად, დასაქმებულისთვის ღირსეულ პირობასაც ქმნიდეს. საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე კომპენსაციის გონივრულ ოდენობად მიიჩნია 30 000 ლარი (12 თვის თანამდებობრივი სარგო), იმ არგუმენტით, რომ დასაქმებული აღნიშნულ პერიოდში (1 წლის ვადაში), უნარების შენარჩუნების გათვალისწინებით, შეძლებდა თავისი პროფესიით დასაქმებას.³¹

7.1.2. განაცდურის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მიმართება

საკასაციო სასამართლო აღნიშნულ საკითხზე განმარტავს, რომ იძულებითი განაცდური წარმოადგენს ზიანს, რომელიც ეკუთვნის დასაქმებულს, რათა მოხდეს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა იმ სახით, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება (სსკ-ის 408-ე მუხლი). ზიანი გამოიხატება შრომითი მოვალეობების შესრულების შეუძლებლობასა და კუთვნილი ანაზღაურების (ხელფასის) მიუღებლობაში.³²

აქედან გამომდინარე, ერთ-ერთ საქმეზე კასატორის პრეტენზია, დამსაქმებლისათვის განაცდურის ნაცვლად გონივრული კომპენსაციის დაკისრების შესახებ, საკასაციო სასამართლომ

უსაფუძვლოდ მიიჩნია და განმარტა, რომ იძულებითი განაცდური და კომპენსაცია არსობრივად და სამართლებრივი საფუძვლებით განსხვავდებიან, კერძოდ, სსკ-ის 408.1 მუხლით გათვალისწინებული ზიანი (კონკრეტულ საქმეზე – იძულებითი განაცდური) განსხვავდება სსკ-ის 38.8 მუხლით (მოქმედი რედაქციის 48.8 მუხლი) გათვალისწინებული კომპენსაციისგან, რადგან ეს უკანასკნელი სასამართლომ უნდა გამოიყენოს სწორედ იმ შემთხვევისათვის, როდესაც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია.³³ „კომპენსაცია შრომითი ურთიერთობის არამართლზომიერი შეწყვეტის შემთხვევაში სპეციალური ნორმით გათვალისწინებული დამსაქმებლის პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ზომაა, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს დასაქმებულისათვის მინიმალური სოციალური გარანტიის შექმნას, რაც მას სავსებით განასხვავებს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისაგან“.³⁴

8. მტკიცების ტვირთი ხელშეკრულების შეწყვეტისას

მოსარჩელის მითითება, რომ იგი უკანონოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან, მტკიცების ტვირთს აბრუნებს დამსაქმებლის მხარეს, რომელსაც ეკისრება დასაქმებულის სამსახურიდან მართლზომიერად გათავისუფლების მტკიცების ტვირთი. ეს დასკვნა გამომდინარეობს პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც, „დამსაქმებელს გააჩნია მტკიცებითი უპირატესობა, სასამართლოს წარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ მისმა თანამშრომელმა შრომითი მოვალეობები დაარღვია, ვიდრე დასაქმებულს, რომელიც ობიექტურად ვერ შეძლებს იმ მტკიცებულებების წარმოდგენას, რომლითაც დადასტურდება, რომ იგი ვალდებულებას ჯეროვნად ასრულებდა ან რომ მას ჰქონდა შესაბამისი კვალიფიკაცია, ფლობდა შესაბამის უნარებს“.³⁵

²⁹ სუსგ, 2018 წლის 29 აგვისტო, №ას-637-637-2018.
³⁰ სუსგ, 2017 წლის 10 ნოემბერი, №ას-787-736-2017.
³¹ იქვე.
³² სუსგ, 2016 წლის 29 იანვარი, №ას-951-901-2015.

³³ იქვე.
³⁴ სუსგ, 2017 წლის 10 ნოემბერი, №ას-787-736-2017.
³⁵ სუსგ, 2015 წლის 2 დეკემბერი, №ას-776-733-2015.

9. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ სარჩელის ხანდაზმულობის ვადა

მნიშვნელოვანია იმ წინააღმდეგობების აღნიშვნა, რაც არსებობს ხელშეკრულების შეწყვეტის სასამართლოში გასაჩივრების ვადასთან მიმართებით. ჯერ კიდევ 2017 წლამდე, სასამართლო მიიჩნევდა, რომ მასზე უნდა გავრცელებულიყო სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.³⁶ თუმცა უახლესი გადაწყვეტილებებით ამგვარი მიდგომა შეიცვალა და სასამართლომ განმარტა, რომ „შრომით დავაზე არ უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილი, არამედ შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-6 პუნქტი (მოქმედი რედაქციის 48-ე მუხლის მე-6 პუნქტი), რადგან ამით ირღვევა მხარეთა თანასწორობის პრინციპი. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ის შედეგები, რაც მოჰყვება მოსარჩელეთა თანამდებობაზე აღდგენას, ვინაიდან ამდენი ხნის განმავლობაში მათ არ უმუშავიათ და კითხვის ნიშნის ქვეშ დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად ეფექტურად განახორციელებენ ისინი დაკისრებულ მოვალეობებს“.³⁷

³⁶ სუსგ, 2016 წლის 29 ივნისი, №ას-469-450-2016.

³⁷ სუსგ, 2017 წლის 5 იანვარი, №ას-863-830-2016. აღსანიშნავია, რომ სშკ-ით უკვე გათვალისწინებულია დასაქმებულის მიერ 30-დღიანი ვადაში იმავე სარჩელით სასამართლოსათვის განმეორებით მიმართვის შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო უარს იტყვის სარჩელის მიღებაზე ან განუხილველად დატოვებს მას (მოქმედი რედაქციის 48-ე მუხლის მე-6 პუნქტი). სშკ-ით აგრეთვე გათვალისწინებული იქნა, რომ წერილობითი დასაბუთებაც რომ არ მოითხოვოს დამსაქმებლისგან, ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება დასაქმებულს შეუძლია გათავისუფლების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 30 დღის ვადაში (მოქმედი რედაქციის 48-ე მუხლის მე-7 პუნქტი).

დასკვნა

წარმოდგენილი მასალიდან გამომდინარე, დიდია განსხვავება კანონის სიტყვასიტყვით ტექსტსა და მასში მოაზრებულ შინაარსს შორის, რომელზეც სასამართლო მსჯელობს. მათი გათვალისწინება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მხოლოდ კანონმდებლობის მიერ დადგენილი პირობების უპირობოდ გამოყენება გამოიწვევს შრომით ურთიერთობებში მხარეთა ინტერესების უგულბელებად. ამაზე მეტყველებს თუნდაც გამოსაცდელი ვადით დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაც, კანონით გათვალისწინებულია, რომ ხელშეკრულების შეწყვეტაზე არ მოქმედებს მხოლოდ სშკ-ის 38-ე მუხლი (მოქმედი რედაქციის 48-ე მუხლი), მაშინ, როდესაც სასამართლო სშკ-ის 38-ე მუხლთან (მოქმედი რედაქციის 48-ე მუხლი) ერთად სშკ-ის 37-ე მუხლის (მოქმედი რედაქციის 47-ე მუხლი) გამოყენების შესაძლებლობასაც გამოიციხავს.

ამდენად, ქართული სასამართლო არა მარტო განმარტავს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებს, არამედ ავსებს კიდევ მათ. აღნიშნული ნორმების სასამართლოსეული შეფასებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მკვიდრდება პრაქტიკა, რომელიც შესაბამისობაშია იმ მიზნებთან, რომლებსაც თანამედროვე შრომითი კანონმდებლობა ითვალისწინებს. გარდა ამისა, ქართული სასამართლოს ხედვა მეტწილად შეესაბამება კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში დამკვიდრებულ პრაქტიკას, რაც განაპირობებს თანამედროვე საზოგადოების მოქალაქეთა დაცულობას.

IV. ღანაგრთი

IV. ATTACHMENT

საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოს შრომის კოდექსი

კარი I. ზოგადი დებულებანი

თავი I. შესავალი დებულებანი

მუხლი 1. მოქმედების სფერო

1. ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

2. შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კანონი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით.

3. შრომითი ხელშეკრულებით არ შეიძლება განისაზღვროს ამ კანონით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ნორმები, რომლებიც აუარესებს დასაქმებულის მდგომარეობას.

მუხლი 2. შრომითი ურთიერთობა

1. შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ.

2. შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით.

3. შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, მათ შორის, ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას და შერჩევის ეტაპზე, აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი,

პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით.

4. (ამოღებულია - 29.09.2020, №7177) .

4¹. (ამოღებულია - 29.09.2020, №7177) .

5. (ამოღებულია - 29.09.2020, №7177) .

6. (ამოღებულია - 29.09.2020, №7177) .

7. (ამოღებულია - 29.09.2020, №7177).

მუხლი 3. შრომითი ურთიერთობის სუბიექტები

1. შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან დამსაქმებელი ან დამსაქმებელთა გაერთიანება და დასაქმებული ან დასაქმებულთა გაერთიანება, რომელიც შექმნილია „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №87 და №98 კონვენციებით გათვალისწინებული მიზნებითა და წესით (შემდგომ – დასაქმებულთა გაერთიანება).

2. დამსაქმებელი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, ანდა პირთა გაერთიანება, რომლისთვისაც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სრულდება გარკვეული სამუშაო.

3. დასაქმებული არის ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, დამსაქმებლისათვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს.

4. ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან დამსაქმებელი და დასაქმებული.

5. კოლექტიური შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან ერთი ან მეტი დამსაქმებელი ან ერთი ან მეტი დამსაქმებელთა გაერთიანება და ერთი ან მეტი დასაქმებულთა გაერთიანება.

მუხლი 3¹. (ამოღებულია)

თავი II. შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა

მუხლი 4. შრომითი დისკრიმინაციის ცნება

1. ამ კანონის მიზნებისთვის დისკრიმინაცია არის განზრახ ან გაუფრთხილებლობით პირის განსხვავება ან გამორიცხვა ან მისთვის უპირატესობის მინიჭება რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, შრომითი ხელშეკრულების სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი (მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი) კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის უარყოფას ან ხელყოფას.

2. ამ კანონის მიზნებისთვის პირდაპირია დისკრიმინაცია, როდესაც ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო პირის მიმართ ხორციელდება არათანაბარი მოპყრობა სხვა პირთან შედარებით, რომელიც იმავე ან მსგავს მდგომარეობაში არის, იყო ან შეიძლება ყოფილიყო უფრო ხელსაყრელი მოპყრობის ობიექტი.

3. ამ კანონის მიზნებისთვის ირიბია დისკრიმინაცია, როდესაც ნეიტრალური დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო პირს სხვა პირთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა ობიექტურად არის გამართლებული კანონიერი მიზნით და გამოყენებული საშუალებები ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი და თანაზომიერია.

4. დამსაქმებელი ვალდებულია ქალი და მამაკაცი დასაქმებულების მიერ თანაბარი სამუშაოს შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოს მათთვის თანაბარი შრომის ანაზღაურების გადახდა.

5. სამუშაო ადგილზე შევიწროება (მათ შორის, სექსუალური შევიწროება) არის დისკრიმინაციის ფორმა, კერძოდ, პირის მიმართ ამ მუხლის პირველი

პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნით განპირობებული არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისი ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

6. სექსუალური შევიწროება არის პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.

შენიშვნა: ამ კანონის მიზნებისთვის სექსუალური ხასიათის ქცევა არის პირისთვის სექსუალური ხასიათის ფრაზების თქმა ან/და ასეთი ფრაზებით მიმართვა, გენიტალიების ჩვენება ან/და ნებისმიერი სხვა სექსუალური ხასიათის არასიტყვიერი ფიზიკური ქცევა.

7. აკრძალულია დასაქმებულისთვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ან/და დასაქმებულის მიმართ ნებისმიერი სახის უარყოფითი მოპყრობა და მასზე ზემოქმედება იმის გამო, რომ დასაქმებულმა დისკრიმინაციისგან დასაცავად განცხადებით ან საჩივრით მიმართა შესაბამის ორგანოს ან ითანამშრომლა მასთან.

მუხლი 5. დისკრიმინაციის აკრძალვის ფარგლები

აკრძალულია დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობასა და წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში (მათ შორის, ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას და შერჩევის ეტაპზე), დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში. დისკრიმინაციის აკრძალვა, მათ შორის, ვრცელდება:

ა) წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას შერჩევის კრიტერიუმებსა და დასაქმების პირობებზე, აგრეთვე კარიერული წინსვლის ხელმისაწვდომობაზე, პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე, საქმიანობის სფეროს მიუხედავად;

ბ) პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე პროფესიული ორიენტაციის, კვალიფიკაციის ამალღების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების ყველა ფორმის (პრაქტიკული პროფესიული გამოცდილების ჩათვლით) ხელმისაწვდომობაზე;

გ) შრომის, შრომის ანაზღაურებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებზე;

დ) დასაქმებულთა გაერთიანების, დამსაქმებელთა გაერთიანების ან ისეთი ორგანიზაციის წევრობასა და საქმიანობაზე, რომლის წევრებიც განსაზღვრულ პროფესიულ ჯგუფს განეკუთვნებიან, ამ ორგანიზაციიდან მიღებული სარგებლის ჩათვლით;

ე) სამსახურებრივი სოციალური დაცვის პირობებზე, მათ შორის, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის პირობებზე.

მუხლი 6. სამუშაოსთვის დამახასიათებელი მოთხოვნები

დისკრიმინაციად არ მიიჩნევა პირის განსხვავების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან ან სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მის მისაღწევად აუცილებელი და თანაზომიერი საშუალება.

მუხლი 7. მტკიცების ტვირთი

დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებული დაცვის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი დამსაქმებელს ეკისრება, თუ კანდიდატი ან დასაქმებული მიუთითებს იმ ფაქტებზე ან/და გარემოებებზე, რომლებიც ქმნის საფუძველს გონივრული ვარაუდისთვის, რომ დამსაქმებელმა დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ მოთხოვნა დაარღვია.

მუხლი 8. დაცვის ან მხარდაჭერის განსაკუთრებული ღონისძიებები

დისკრიმინაციად არ მიიჩნევა განსაკუთრებული ღონისძიებები, რომლებიც ხორციელდება იმ პირთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც, ჩვეულებრივ, აღიარებულია, რომ, ასაკის, სქესის, შეზღუდული შესაძლებლობის, ოჯახური პასუხისმგებლობის, სოციალური ან კულტურული სტატუსის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ დაცვას ან მხარდაჭერას საჭიროებენ.

მუხლი 9. გონივრული მისადაგება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის, კერძოდ, გონივრული მისადაგების პრინციპის, დაცვის მიზნით დამსაქმებელი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა დასაქმების, კარიერული წინსვლის, კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების ხელმისაწვდომობისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ღონისძიება დამსაქმებელს არაპროპორციულ ტვირთს აკისრებს. ეს ტვირთი არაპროპორციულად არ მიიჩნევა, თუ კონკრეტულ ღონისძიებასთან დაკავშირებით მოქმედებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები, შეღავათები ან/და სხვა, ალტერნატიული საშუალებები.

კარი II. ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობა

თავი III. შრომითი ურთიერთობის წარმოშობა

მუხლი 10. შრომითი ქმედუნარიანობის წარმოშობა და სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი

1. ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლიდან.

2. 16 წლამდე არასრულწლოვანის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შესაბამისი შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება

არასრულწლოვანის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობა ძალაში რჩება მსგავსი ხასიათის შემდგომი შრომითი ურთიერთობის მიმართაც.

3. 14 წლამდე არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ

სპორტის, ხელოვნების ან კულტურის სფეროში საქმიანობის განსახორციელებლად ანდა სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

4. აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებასთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასა და რელიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად.

5. აკრძალულია არასრულწლოვანთან ანდა ორსულ, ახალნამშობიარებ ან მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მიმღე, მანვე ან საშიშპირობებიანი სამუშაოს შესასრულებლად.

6. აკრძალულია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით ან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ დაწესებულებაში, არასრულწლოვანთათვის ნებისმიერი სახის საგანმანათლებლო/სასწავლო/სააღმზრდელო მომსახურების გამწევ დაწესებულებაში (მათ შორის, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებაში), ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარში), „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ თავშესაფარში/კრიზისულ ცენტრში, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სპეციალიზებულ დაწესებულებაში/სპეციალიზებულ დაწესებულებაში იმ პირის დასაქმება, რომელიც ნასამართლევა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა.

7. აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამის დაწესებულებაში იმ პირის დასაქმება, რომელიც ნასამართლევა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს

კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ან რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე ჩამოერთვა აღნიშნულ დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.

მუხლი 11. წინასახელშეკრულებო ურთიერთობა და ინფორმაციის გაცვლა შრომითი ხელშეკრულების დადებამდე

1. დამსაქმებელს უფლება აქვს, მოიპოვოს კანდიდატის შესახებ ინფორმაცია, გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც არ არის დაკავშირებული სამუშაოს შესრულებასთან და არ არის საჭირო კანდიდატის მიერ კონკრეტული სამუშაოს შესრულების შესაძლებლობის შესაფასებლად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

2. კანდიდატი ვალდებულია დამსაქმებელს აცნობოს ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მას სამუშაოს შესრულებაში ან საფრთხე შეუქმნას დამსაქმებლის ინტერესებს.

3. დამსაქმებელს უფლება აქვს, შეამოწმოს კანდიდატის მიერ წარდგენილი ინფორმაციის სისწორე.

4. დამსაქმებლის მიერ მოპოვებული კანდიდატის შესახებ ინფორმაცია და კანდიდატის მიერ წარდგენილი ინფორმაცია არ შეიძლება კანდიდატის თანხმობის გარეშე იყოს ხელმისაწვდომი სხვა პირისთვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. კანდიდატს უფლება აქვს, გამოითხოვოს მის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, თუ დამსაქმებელმა არ დადო მასთან შრომითი ხელშეკრულება.

6. დამსაქმებელი ვალდებულია კანდიდატს მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) შესასრულებელი სამუშაოს შესახებ;
- ბ) შრომითი ხელშეკრულების ფორმის (ზეპირი ან წერილობითი) და ვადის (განსაზღვრული ან განუსაზღვრელი) შესახებ;
- გ) შრომის პირობების შესახებ;
- დ) შრომითი ურთიერთობისას დასაქმებულის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ;
- ე) შრომის ანაზღაურების შესახებ.

7. კანდიდატთან წინასახელშეკრულებო ურთიერთობა დასრულებულად მიიჩნევა დამსაქმებლის მიერ მასთან შრომითი ხელშეკრულების დადებით ან დასაქმებაზე უარის შესახებ ინფორმირებით.

8. დამსაქმებელი არ არის ვალდებული, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება კანდიდატის დასაქმებაზე უარის თქმის თაობაზე.

9. წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას შრომითი ხელშეკრულების დადებამდე დამსაქმებელი ვალდებულია კანდიდატს გააცნოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დებულებები პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპისა და მისი დაცვის საშუალებების შესახებ, აგრეთვე მიიღოს ზომები სამუშაო ადგილზე პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები ასახოს შრომის შინაგანაწესში, კოლექტიურ ხელშეკრულებებსა და სხვა დოკუმენტებში და უზრუნველყოს მათი შესრულება.

მუხლი 12. შრომითი ხელშეკრულების დადება

1. შრომითი ხელშეკრულება იდება ზეპირი ან წერილობითი ფორმით, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით.

2. თუ შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა 1 თვეს აღემატება, აუცილებელია შრომითი ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადება.

3. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შრომითი ხელშეკრულების ვადა არის 1 წელი ან 1 წელზე მეტი, შრომითი ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით იდება მხოლოდ შემდეგი საფუძვლის არსებობისას:

ა) შესასრულებელია კონკრეტული მოცულობის სამუშაო;

ბ) შესასრულებელია სეზონური სამუშაო;

გ) სამუშაოს მოცულობა დროებით იზრდება;

დ) ხდება შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლით სამუშაოზე დროებით არმყოფი დასაქმებულის ჩანაცვლება;

ე) შრომითი ხელშეკრულება ითვალისწინებს „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შრომის ანაზღაურების სუბსიდირებას; (ამოქმედდეს 2021 წლის 1 სექტემბრიდან)]

ვ) არსებობს სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების განსაზღვრული ვადით დადებას.

4. თუ შრომითი ხელშეკრულების ვადა 30 თვეზე მეტია, ან თუ შრომითი ურთიერთობა ვადიანი შრომითი ხელშეკრულების მიმდევრობით ორჯერ ან მეტჯერ დადების შედეგად გრძელდება და მისი ხანგრძლივობა 30 თვეს აღემატება, მიიჩნევა, რომ დადებულია უვადო შრომითი ხელშეკრულება.

ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები მიმდევრობით დადებულად ჩაითვლება, თუ არსებული ვადიანი შრომითი ხელშეკრულება მისი ვადის გასვლისთანავე გაგრძელდა ან მომდევნო ვადიანი შრომითი ხელშეკრულება პირველი ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 60 დღის ვადაში დაიდო.

5. თუ განსაზღვრული ვადით შრომითი ხელშეკრულება დადებულია ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის გარეშე, მიიჩნევა, რომ დადებულია უვადო შრომითი ხელშეკრულება.

6. ვადიანი შრომითი ხელშეკრულების დადებაზე ამ მუხლით დაწესებული შეზღუდვები არ ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მეწარმე სუბიექტზე, თუ მისი სახელმწიფო რეგისტრაციიდან 48 თვე არ გასულა (დამწყები საწარმო) და იგი აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ დამატებით პირობებს (ასეთი პირობების დადგენის შემთხვევაში), იმ პირობით, რომ ამ პუნქტის მიზნებისთვის ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს 3 თვეზე ნაკლები.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება იმ მეწარმე სუბიექტზე, რომელიც შექმნილია რეორგანიზაციის შედეგად, სხვა მეწარმე სუბიექტის აქტივების საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემის ან თვალთმაქცური გარიგების საფუძველზე.

8. გარდა შრომითი ხელშეკრულების ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით დადების შემთხვევისა, თუ შრომითი ურთიერთობა დაწყებულია ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ 48-თვიან პერიოდში, ამ ვადის ამოწურვის შემდეგ მიიჩნევა, რომ დადებულია უვადო შრომითი ხელშეკრულება.

9. დამსაქმებელი ვალდებულია განსაზღვრული ვადით დასაქმებულ პირს აცნობოს არსებული ვაკანსიების შესახებ, რათა მას ჰქონდეს, სხვა დასაქმებულის მსგავსად, უვადო შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში არსებული პოზიციების დაკავების თანაბარი შესაძლებლობა.

მუხლი 13. შრომითი ხელშეკრულების ენა

წერილობითი შრომითი ხელშეკრულება იდება მხარეებისთვის გასაგებ ენაზე. წერილობითი შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს

რამდენიმე ენაზე. თუ წერილობითი შრომითი ხელშეკრულება დადებულია რამდენიმე ენაზე, იგი უნდა შეიცავდეს დათქმას იმის თაობაზე, თუ რომელ ენაზე დადებულ შრომით ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესობა შრომითი ხელშეკრულებების დებულებებს შორის განსხვავების არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 14. შრომითი ხელშეკრულების შინაარსი

1. შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობებია:

ა) ინფორმაცია შრომითი ხელშეკრულების მხარეთა შესახებ;

ბ) მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა;

გ) სამუშაო დრო და დასვენების დრო;

დ) სამუშაო ადგილი და ინფორმაცია დასაქმებულის სხვადასხვა სამუშაო ადგილის შესახებ, თუ მისი მუდმივი ან ძირითადი სამუშაო ადგილი განსაზღვრული არ არის;

ე) თანამდებობა (არსებობის შემთხვევაში მიეთითება რანგი, თანრიგი, კატეგორია და სხვა) და შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა;

ვ) შრომის ანაზღაურება (მიეთითება ხელფასი, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში – დანამატი) და მისი გადახდის წესი;

ზ) ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი;

თ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და ამ შვებულებების მიცემის წესი;

ი) დამსაქმებლისა და დასაქმებულის მიერ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესი;

კ) კოლექტიური ხელშეკრულებების დებულებები – იმ შემთხვევაში, თუ ამ დებულებებით დასაქმებულთა შრომის პირობები განსხვავებულად რეგულირდება.

2. დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს დასაქმების შესახებ ცნობა. ეს ცნობა უნდა შეიცავდეს მონაცემებს შესრულებული სამუშაოს, შრომის ანაზღაურებისა და შრომითი ხელშეკრულების ვადის თაობაზე.

3. შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს, რომ შრომის შინაგანაწესი შრომითი ხელშეკრულების ნაწილია. ამ შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია პირს შრომითი ხელშეკრულების დადებამდე გააცნოს შრომის შინაგანაწესი (არსებობის შემთხვევაში). დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს

გააცნოს შრომის შინაგანაწესში შეტანილი ცვლილება მისი შეტანიდან 14 კალენდარული დღის ვადაში.

4. თუ დასაქმებულთან დადებულია რამდენიმე შრომითი ხელშეკრულება, რომლებიც მხოლოდ ავსებს და მთლიანად არ ცვლის ერთმანეთს, ყველა შრომითი ხელშეკრულება ინარჩუნებს ძალას და ერთ შრომით ხელშეკრულებად მიიჩნევა.

5. წინა შრომითი ხელშეკრულება ძალას ინარჩუნებს იმდენად, რამდენადაც მისი დებულებები შეცვლილი არ არის მომდევნო შრომითი ხელშეკრულებით.

6. თუ დასაქმებულთან დადებულია რამდენიმე შრომითი ხელშეკრულება, რომლებიც ერთსა და იმავე პირობას ეხება, უპირატესობა ენიჭება ბოლო შრომით ხელშეკრულებას.

7. ბათილია დასაქმებულთან დადებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების ის პირობა, რომელიც ამ კანონს ან იმავე დასაქმებულთან დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებას ეწინააღმდეგება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულება აუმჯობესებს დასაქმებულის მდგომარეობას.

მუხლი 15. შრომითი ურთიერთობის წარმოშობა შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტობრივად დაწყების მომენტიდან, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

მუხლი 16. არასრული სამუშაო განაკვეთი

1. არასრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებული პირი არის დასაქმებული, რომლის ნორმირებული სამუშაო დრო კვირის განმავლობაში ან საშუალოდ 1 წლამდე ხანგრძლივობის შრომითი ურთიერთობის პერიოდში ანალოგიურ პირობებში სრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებული პირის ნორმირებულ სამუშაო დროზე ნაკლებია.

შენიშვნა: ამ მუხლის მიზნებისთვის სრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებული პირი არის დასაქმებული, რომელიც იმავე ფორმის შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში იმავე დამსაქმებლისთვის ასრულებს იმავე ან მსგავს სამუშაოს და დასაქმებულია იმავე მიმართულებით, იმავე დეპარტამენტში ან სამსახურში. იმავე მიმართულებით, იმავე დეპარტამენტში ან სამსახურში ანალოგიურ პირობებში სრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებული პირის არარსებობის შემთხვევაში გასათვალისწინებელია

იმავე დამსაქმებელთან ანალოგიურ პირობებში სრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებული პირი. ასეთი პირის არარსებობის შემთხვევაში გასათვალისწინებელია საქმიანობის იმავე სფეროში სრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებული პირი.

2. აკრძალულია შრომის პირობებთან დაკავშირებით არასრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებული პირის მიმართ განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში სრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებულ პირთან შედარებით მხოლოდ იმის გამო, რომ ეს პირი დასაქმებულია არასრულ სამუშაო განაკვეთზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განსხვავებული მოპყრობა გამართლებულია ობიექტური საფუძველით.

3. დაუშვებელია დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტამის მიერ სრული სამუშაო განაკვეთიდან არასრულ სამუშაო განაკვეთზე ან არასრული სამუშაო განაკვეთიდან სრულ სამუშაო განაკვეთზე გადასვლაზე უარის თქმის გამო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამსაქმებელს უფლება აქვს, შესაბამისი წინაპირობების დაცვით შეწყვიტოს დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულება ამ კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველით.

4. ობიექტური შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) გაითვალისწინოს დასაქმებულის მოთხოვნა სრული სამუშაო განაკვეთიდან დამსაქმებელთან არსებულ არასრულ სამუშაო განაკვეთზე გადასვლის შესახებ;

ბ) გაითვალისწინოს დასაქმებულის მოთხოვნა შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში არასრული სამუშაო განაკვეთიდან სრულ სამუშაო განაკვეთზე გადასვლის ან სამუშაო დროის გაზრდის შესახებ;

გ) დროულად გაავრცელოს არსებული სრული და არასრული სამუშაო განაკვეთების შესახებ ინფორმაცია სრული სამუშაო განაკვეთიდან არასრულ სამუშაო განაკვეთზე ან არასრული სამუშაო განაკვეთიდან სრულ სამუშაო განაკვეთზე გადასვლის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად;

დ) გაითვალისწინოს წამახალისებელი ღონისძიებები ორგანიზაციის ყველა დონეზე (მათ შორის, წამყვან/მენეჯერულ თანამდებობებზე) არასრული სამუშაო განაკვეთის ხელმისაწვდომობისთვის, აგრეთვე, თუ ეს მიზანშეწონილია, არასრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებული პირის კარიერული წინსვლის,

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული მოტივაციის ხელშეწყობისთვის.

5. დასაქმებულის უფლება, დასაქმდეს ერთზე მეტ სრულ ან არასრულ სამუშაო განაკვეთზე, შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება შეიზღუდოს, თუ პირი, რომლისთვისაც უნდა შესრულდეს შეთავსებითი სამუშაო, დამსაქმებლის კონკურენცია.

მუხლი 17. გამოსაცდელი ვადა

1. შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია მასთან მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით არაუმეტეს 6 თვისა. შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით იდება მხოლოდ წერილობითი ფორმით.

2. გამოსაცდელ ვადაში შესრულებული სამუშაო ანაზღაურდება. ამ ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

3. დამსაქმებელს უფლება აქვს, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დადოს დასაქმებულთან ვადიანი ან უვადო შრომითი ხელშეკრულება ან შეწყვიტოს მასთან გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება.

4. გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაზე არ ვრცელდება ამ კანონის 48-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, თუ გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დასაქმებულს შრომის ანაზღაურება მიეცემა ნამუშევარი დროის შესაბამისად.

მუხლი 18. სტაჟირება

1. სტაჟიორი არის ფიზიკური პირი, რომელიც დამსაქმებლისთვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ ან მის გარეშე, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, პროფესიული ცოდნის, უნარის ან პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად.

2. დამსაქმებელს ეკრძალება სტაჟიორის შრომის გამოყენება იმ მიზნით, რომ თავი აარიდოს შრომითი ხელშეკრულების დადებას. სტაჟიორი არ ანაცვლებს დასაქმებულს. დამსაქმებელს არ აქვს უფლება, აიყვანოს სტაჟიორი იმ დასაქმებულის ნაცვლად, რომელთანაც შრომითი ურთიერთობა შეჩერდა ან/და შეწყდა.

3. ანაზღაურებისგარეშე სტაჟირების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს, ხოლო ანაზღაურებადი სტაჟირების ვადა – 1 წელს. პირს უფლება აქვს, ერთსა და იმავე დამსაქმებელთან ანაზღაურებისგარეშე სტაჟირება გაიაროს მხოლოდ ერთხელ.

4. სტაჟიორისა და დამსაქმებლის ურთიერთობას აწესრიგებს წერილობითი ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებაში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი სტაჟიორის მიერ შესასრულებელი სამუშაო.

5. სტაჟიორთან დადებულ ხელშეკრულებაზე ვრცელდება ამ კანონით (გარდა ამ კანონის

VII თავისა) გათვალისწინებული დაცვის ყველა მინიმალური სტანდარტი. სტაჟიორთან დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაზე არ ვრცელდება ამ კანონის 48-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, თუ სტაჟიორთან დადებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

6. ამ მუხლის ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

7. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება საჯარო დაწესებულებებზე, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე.

თავი IV. სამუშაოს შესრულება

მუხლი 19. სამუშაოს პირადად შესრულების მოვალეობა

დასაქმებული ვალდებულია სამუშაო პირადად შეასრულოს.

მუხლი 20. შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლა

1. დამსაქმებელს უფლება აქვს, დასაქმებულისთვის შეტყობინებით დააზუსტოს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ცალკეული გარემოებები, რომლებიც არ ცვლის შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობებს.

2. შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. თუ შრომითი ხელშეკრულება არ შეიცავს რომელიმე არსებით პირობას, ასეთი პირობის განსაზღვრა შესაძლებელია დასაქმებულის თანხმობით.

3. შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა, რაც განპირობებულია საქართველოს კანონმდებლობის ცვლილებით, დასაქმებულის თანხმობას არ საჭიროებს.

4. შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლად არ მიიჩნევა შემდეგი გარემოების შეცვლა:

ა) დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისთვის მითითებული სამუშაოს შესრულების ადგილის შეცვლა, თუ ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებებით დასაქმებულის საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაოს შესრულების ახალ ადგილამდე მისასვლელად და დასაბრუნებლად საჭიროა დღეში არაუმეტეს

3 საათისა, ამასთანავე, ეს არ მოითხოვს არაპროპორციულ ხარჯებს;

ბ) სამუშაოს დაწყების ან დამთავრების დროის შეცვლა არაუმეტეს 90 წუთით.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ორივე გარემოების ერთდროულად შეცვლა მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლად.

6. თუ იმ დასაქმებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც არის ორსული, ახალნამშობიარები ან მეძუძური ქალი, სამედიცინო დასკვნის თანახმად, არ იძლევა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას, მას გონივრული მისადაგების ფარგლებში უფლება აქვს, მოითხოვოს იმავე დამსაქმებელთან თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისი სამუშაოს შესრულება.

7. იმ დასაქმებულის შრომის პირობების შემსუბუქების ან მსუბუქ სამუშაოზე გადაყვანის შეუძლებლობის შემთხვევაში, რომელიც არის ორსული, ახალნამშობიარები ან მეძუძური ქალი, სამედიცინო დასკვნაში მითითებული ვადის, აგრეთვე ორსულობის, ახალნამშობიარობის ან მეძუძურობის ფაქტის გათვალისწინებით, დასაქმებული თავისუფლდება შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობების შესრულებისგან. მას აღნიშნული პერიოდი არ ჩაეთვლება ამ კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტითა და 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დროებითი შრომისუუნარობის ვადაში. შრომითი

ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლების პერიოდში დასაქმებულის შრომის ანაზღაურების საკითხი განისაზღვრება დასაქმებულისა და დამსაქმებლის შეთანხმებით.

8. დასაქმებულს უფლება აქვს, ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების, ბავშვის მოვლის გამო შვებულების, ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების დასრულების შემდეგ დაბრუნდეს იმავე სამუშაოზე იმავე შრომის პირობებით, აგრეთვე ისარგებლოს ნებისმიერი გაუმჯობესებული შრომის პირობებით იმის ფარგლებში, რისი მიღების უფლებაც მას ექნებოდა, შესაბამისი შვებულებით რომ არ ესარგებლა.

მუხლი 21. მივლინება

1. მივლინება არის დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სამუშაო ადგილის დროებით შეცვლა, სამუშაოს ინტერესებიდან გამომდინარე.

2. დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის მივლინებაში გაგზავნა არ მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლად, თუ მივლინების პერიოდი წელიწადში 45 კალენდარულ დღეს არ აღემატება.

3. დამსაქმებლის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადამეტება მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლად.

4. დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს სრულად აუნაზღაუროს მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯი.

5. ამ მუხლის ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

მუხლი 22. პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

1. დამსაქმებელი ხელს უწყობს დასაქმებულის კვალიფიკაციის ამაღლებას.

2. ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების, ბავშვის მოვლის გამო შვებულების, ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების დასრულების შემდეგ, დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებულის კვალიფიკაციის ამაღლება, თუ ეს აუცილებელია მის მიერ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესასრულებლად და დამსაქმებლისთვის არაპროპორციულ ხარჯებს არ წარმოშობს.

3. თუ პროფესიული გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლების ან სხვა სასწავლო

კურსში დასაქმებულის მონაწილეობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დამსაქმებელი, ამ კურსში დასაქმებულის მონაწილეობა სამუშაო დროში ითვლება და ანაზღაურდება.

მუხლი 23. შრომის შინაგანაწესი

1. დამსაქმებელს უფლება აქვს, დაადგინოს შრომის შინაგანაწესი. იგი ვალდებულია შრომის შინაგანაწესი დასაქმებულს გააცნოს.

2. შრომის შინაგანაწესი არის წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც შეიძლება განისაზღვროს:

ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო დღეს სამუშაოს დაწყების დრო და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას – ცვლის ხანგრძლივობა;

ბ) დასვენების ხანგრძლივობა;

გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი;

დ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;

ე) ანაზღაურებისგარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;

ვ) შრომის პირობების დაცვის წესები;

ზ) წახალისების სახე, პასუხისმგებლობის სახე და მათი გამოყენების წესები;

თ) განცხადების/საჩივრის განხილვის წესი.

3. სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, დამსაქმებელმა შრომის შინაგანაწესით შეიძლება განსაზღვროს სპეციალური წესები.

4. დამსაქმებელი ვალდებულია მიიღოს ზომები დაწესებულებაში დასაქმებულთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები ასახოს შრომის შინაგანაწესისა და სხვა დოკუმენტებში და უზრუნველყოს მათი შესრულება.

[5. დამსაქმებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს დასაქმების ადგილზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზებას, მათ შორის, გონივრული მისადაგების ფარგლებში „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო სტანდარტების/ნორმატივების დაცვითა და შესრულებით. (ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან)]

6. ბათილია შრომის შინაგანაწესის ის დებულება, რომელიც ამ კანონს, ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებას ან კოლექტიურ ხელშეკრულებას ეწინააღმდეგება.

თავი V. სამუშაო დრო, შესვენების დრო და დასვენების დრო

მუხლი 24. სამუშაო დროის ხანგრძლივობა

1. ნორმირებული სამუშაო დრო არის ნებისმიერი დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული მუშაობს დამსაქმებლის განკარგულების პირობებში და ახორციელებს თავის საქმიანობას ან/და ასრულებს თავის მოვალეობებს. სამუშაო დროში არ ითვლება შესვენების დრო და დასვენების დრო.

2. ნორმირებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს.

3. სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში, სადაც წარმოების/სამუშაო პროცესის 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტი რეჟიმია, ნორმირებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს. საქართველოს მთავრობა სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის შემდეგ განსაზღვრავს სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე დარგების ჩამონათვალს.

4. სამუშაო დღეებს/ცვლებს შორის დასაქმებულის უწყვეტი დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები.

5. თუ სამუშაო დღის განმავლობაში სამუშაო დროის ხანგრძლივობა 6 საათს აღემატება, დასაქმებულს წარმოეშობა შესვენების უფლება. შესვენების დროის ხანგრძლივობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. თუ სამუშაო დღის განმავლობაში სამუშაო დროის ხანგრძლივობა არანაკლებ 6 საათია, შესვენების დროის ხანგრძლივობა უნდა იყოს სულ მცირე 60 წუთი.

6. იმ დასაქმებულს, რომელიც მემუშაობს ქალია და 1 წლამდე ბავშვს კვებავს, თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა დამატებითი შესვენება ბავშვის კვებისთვის სამუშაო დღის განმავლობაში არანაკლებ 1 საათისა. ბავშვის კვებისთვის შესვენება სამუშაო დროში ითვლება და ანაზღაურდება.

7. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული 12-საათიანი ყოველდღიური დასვენების დროის გარდა, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული დასვენებით 7-დღიანი პერიოდის განმავლობაში უწყვეტად არანაკლებ 24 საათისა. მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია დასაქმებულმა არაუმეტეს 14 დღის განმავლობაში მიმდევრობით ორჯერ ისარგებლოს 24-საათიანი დასვენების დროით.

8. 16 წლიდან 18 წლამდე არასრულწლოვანის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 36 საათს და სამუშაო დღის განმავლობაში 6 საათს.

9. 14 წლიდან 16 წლამდე არასრულწლოვანის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 24 საათს და სამუშაო დღის განმავლობაში 4 საათს.

10. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის კანონიერ წარმომადგენელს ან მხარდამჭერს უფლება აქვს, დასვენების დღეების გარდა, თვეში ერთხელ ისარგებლოს დამატებითი ანაზღაურებადი დასვენების დღით ან დამსაქმებელს შეუთანხმოს შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული სხვა განსხვავებული სამუშაო დრო.

[11. დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დღის წერილობით ან/და ელექტრონულად აღრიცხოს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დრო და სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის ყოველთვიური დოკუმენტი გააცნოს დასაქმებულს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, სამუშაოს ორგანიზების სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია. დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის დოკუმენტი შეინახოს 1 წლის განმავლობაში. სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმას განსაზღვრავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი (შემდგომ – მინისტრი) სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის შემდეგ. (ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან)]

მუხლი 25. ცვლაში მუშაობისთვის განსაზღვრული სამუშაო დრო

1. თუ დამსაქმებლის საქმიანობა ითვალისწინებს წარმოების/სამუშაო პროცესის უწყვეტ 24-საათიან რეჟიმს, მხარეებს უფლება აქვთ, დადონ შრომითი ხელშეკრულება ცვლაში მუშაობის შესახებ, ამ კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის პირობების გათვალისწინებით და დასაქმებულისთვის ნამუშევარი საათების ადეკვატური დასვენების დროის მიცემის პირობით.

2. ცვლაში მუშაობა არის სამუშაო დროის ორგანიზების მეთოდი, რომლის მიხედვით, დასაქმებულები ერთსა და იმავე სამუშაოზე

თანამიმდევრობით ცვლიან ერთმანეთს განსაზღვრული გრაფიკის, მათ შორის, როტაციული გეგმის, შესაბამისად, ისე, რომ შესაძლებელი იყოს წარმოების/სამუშაო პროცესის დასაქმებულისთვის დადგენილ სამუშაო კვირის ხანგრძლივობაზე მეტ ხანს გაგრძელება.

3. მიმდევრობით ორ ცვლაში მუშაობა აკრძალულია.

4. ცვლაში მუშაობა და ერთი ცვლიდან მეორე ცვლაში გადასვლა განისაზღვრება ცვლების განრიგით, რომელსაც ამტკიცებს დამსაქმებელი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით. დასაქმებულს ცვლების განრიგის ცვლილების შესახებ უნდა ეცნობოს არანაკლებ 10 დღით ადრე, თუ, უკიდურესი საწარმოო აუცილებლობიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელი არ არის.

5. სამთო-მომპოვებელ სფეროში სამუშაო დროის რეგულირების წესს განსაზღვრავს მინისტრი სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის შემდეგ.

მუხლი 26. სამუშაო დროის შეჯამებული აღრიცხვის წესი

სამუშაო პირობების გათვალისწინებით, როდესაც შეუძლებელია ყოველდღიური ან ყოველკვირეული სამუშაო დროის ხანგრძლივობის დაცვა, დასაშვებია სამუშაო დროის შეჯამებული აღრიცხვის წესის შემოღება.

მუხლი 27. ზეგანაკვეთური სამუშაო

1. ზეგანაკვეთური სამუშაო არის მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება ნორმირებულ სამუშაო დროს. არასრულწლოვანის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების დროის ხანგრძლივობა სამუშაო დღის განმავლობაში ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს 2 საათს, ხოლო სამუშაო კვირის განმავლობაში ჯამურად – 4 საათს.

2. ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება შრომის ანაზღაურების საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. ამ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. ზეგანაკვეთური სამუშაო უნდა ანაზღაურდეს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების შემდეგ გადასახდელ ყოველთვიურ შრომის ანაზღაურებასთან ერთად.

3. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ დასაქმებულისთვის ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ პროპორციული დამატებითი დასვენების დროის მიცემაზე.

დასაქმებულს დამატებითი დასვენების დრო უნდა მიეცეს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებიდან არაუგვიანეს 4 კვირისა, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

4. დამსაქმებელი ვალდებულია 1 კვირით ადრე წერილობით შეატყობინოს დასაქმებულს შესასრულებელი ზეგანაკვეთური სამუშაოს შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, დამსაქმებლის ობიექტური საჭიროებიდან გამომდინარე, მისი გაფრთხილება შეუძლებელია.

5. დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო:

ა) სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის – ზეგანაკვეთური ანაზღაურების გარეშე;

ბ) საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის – ზეგანაკვეთური ანაზღაურებით.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში აკრძალულია იმ დასაქმებულის, რომელიც არის ორსული, ახალნამშობიარები ან მეძუძური ქალი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, არასრულწლოვანი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის კანონიერი წარმომადგენელი ან მხარდამჭერი ან რომელსაც ჰყავს 3 წლამდე ბავშვი, ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება მისი თანხმობის გარეშე.

მუხლი 28. ღამის სამუშაოზე დასაქმების შეზღუდვა

1. ამ კანონის მიზნებისთვის ღამის დრო გულისხმობს 22 საათიდან 6 საათამდე პერიოდს.

2. ღამის სამუშაოზე დასაქმებული პირი არის ნებისმიერი პირი, რომელიც ყოველდღიური ნორმირებული სამუშაო დროის ფარგლებში ღამის დროის განმავლობაში, ჩვეულებრივ, მუშაობს არანაკლებ 3 საათს, და ნებისმიერი პირი, რომელიც წლიური სამუშაო დროის განსაზღვრულ პროპორციულ ნაწილს მუშაობს ღამის დროის განმავლობაში. წლიური სამუშაო დროის ღამის სამუშაოს პროპორციულ განაკვეთს განსაზღვრავს მინისტრი სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციის შემდეგ.

3. აკრძალულია ღამის სამუშაოზე არასრულწლოვანის, ორსული, ახალნამშობიარები ან მეძუძური ქალის დასაქმება. აკრძალულია ღამის სამუშაოზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან იმ პირის დასაქმება, რომელსაც ჰყავს 3 წლამდე ბავშვი, მისი თანხმობის გარეშე.

